ახალი განმანათლება

2010 წელი, 23 დეკემბერი

ფასი 90 თეთრი

№40 (514) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გაზეთ „ახალ განათლებას“ და მის მკითხველებს კეთილი და მდიდარ შობა-ახალ წელს!

მალე, რიგ 2011 წელი თქვენთვის და თქვენი მკითხველისათვის წარმატებების მომტანი იქნება. განათლებაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ობიექტური და სარისხიანი ინფორმაციის მიწოდება ერთ-ერთი საწინდარია ამ რეფორმების კარგად განხორციელებისათვის.

ეიმედოვნებ, რომ 2011 წელი წარმატებული და დაგვირგვინებული წელი იქნება გაზეთისთვის და მისი თანამშრომლებისთვის, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად ანვრცელებს რეფორმების გაჯერებულებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

საუკეთესო სურვილებით, დიმიტრი შაშკინი

დასრულდა 2010 წელი. ბოლო ნომერში გადავწყვიტეთ, თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი განათლების სფეროში წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებსა და სიახლეებს

* * *

სკოლებში უსაფრთხოების დაცვის მიზნით შესული მანდატურები, ერთი სამუშაო დღით, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა შეცვალეს. რამდენიმე ჟურნალისტმა და პოპულარულმა ტელეწამყვანმა სურვილი გამოთქვა ერთი დღე მანდატურის ამპლუაში გაეტარებინათ და თავად გამოეცადათ, რას აკეთებენ მანდატურები სკოლის, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და იქ დასაქმებულ სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დილის 9 საათიდან მოხალისე მანდატურთა სამკაციანი ჯგუფები ასე გადანაწილდა:

პირველ საჯარო სკოლაში – იმედის ჟურნალისტები: ნანუკა ჟორჟოლიანი, ლევან როსტოშვილი, ლაშა ხარაზიშვილი;

№53 საჯარო სკოლაში – რუსთავი 2-ის ცნობილი სახეები: ვანო ჯავახიშვილი, დუტა სხირტლაძე, დიკო ჯოჯუა;

№51 საჯარო სკოლაში – საზოგადოებრივი ტელევიზიიდან: ნინო თოლორდავა, ნიკა მოლოდინაშვილი, გია ჭანტურია;

პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში – რეგიონ ტვ-ის ჟურნალისტები: თამუნა თუშური, მიშა ვარძელაშვილი, ავთო ტუღუში.

სკოლისა და ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში ამ უჩვეულო დღემ საინტერესოდ ჩაიარა, იყო სასიამოვნო კურიოზები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოხალისე მანდატურების განცხადებით, საკმაოდ რთული და საინტერესოა მანდატურის საქმიანობა, ერთდროულად უნდა იყო მობილიზებული, დაკვირვებული, სამართლიანი, რჩევის მიცემაში კომპეტენტური, ასევე კარგი ფსიქოლოგი და დიპლომატი.

აქცია არ იქნება ერთჯერადი, მომავალში სხვა ცნობილი ადამიანებიც მოირგებენ მანდატურის უნიფორმას.

* * *

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადდა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი.

სტანდარტში განმარტებულია, თუ რა კომპეტენციები, პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოეთხოვება სპეციალურ მასწავლებელს. სპეციალური მასწავლებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობაში, ასევე მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში. სპეციალური მასწავლებელი ახდენს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებების შეფასებას, კონსულტაციას უწევს მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელსა და სხვა სპეციალისტებს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წლის რეფორმატორი სამინისტრო გახდა. აღნიშნული პრიზი დაჯილდოების ცერემონიალზე „სოფლის მაშენებელნი – 2010“ სამინისტროს სახელით მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ირინე ქურდაძეს გადაეცა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნული პრიზით სისტემაში განხორციელებული რეფორმების, ინოვაციური პროექტებისა და მათი წარმატებულად განხორციელების გამო დაჯილდოვდა. ცერემონიას უკვე მეექვსე წელია ატარებს კავშირი „განმანათლებელი“. პროექტის მიზანია განათლების, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის, ასევე სოციალური პროექტების ხელშემწყობ კომპანიათა და სახელმწიფო სტრუქტურების გამოვლენა.

ცერემონიალის დამფუძნებელთა და კონსულტანტთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, წლევანდელ ნომინანტთა სიაში მოხვდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

* * *

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლომდებარე სოფლების პედაგოგებისთვის ჩატარდა ტრენინგი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ტრენინგებში მონაწილეობდნენ: ანაკლიის, განმუხურის, შამგონის, რიყის, ნაჭარმაგევის, რუხის, მეღვრეკისის, კარალეთის, ტყვიავის, ნიქოზის, ტირძნისის, ორსანტიის, კოკის და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სხვა სოფლების სკოლების პედაგოგები.

ტრენინგის თემები იყო: ისტ-ის როლი და შესაძლებლობები სასწავლო პროცესში; ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტის მომზადება და განხორციელება. მასწავლებლები გაეცნენ ელექტრონულ რესურსებს, რაც მათ პროფესიულ განვითარებაში დაეხმარებათ; წარმოდგენილი იყო სასწავლო ფილმები და ვიდეოგაკვეთილები. გადამზადების შემდეგ, პედაგოგები თავიანთ სკოლებში ჩაატარებენ სემინარებს კოლეგებისთვის და დაეხმარებიან მათ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისებაში.

* * *

პედაგოგებისთვის შემუშავდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას, რაც დადებითად აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხზე.

მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემის მთავარი არსია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოტივირება და ნახალისება. მას შემდეგ, რაც პედაგოგი გაივლის სერტიფიცირებას, საშუალება ეძლევა გაიაროს კარიერული ზრდის რამდენიმე საფეხური.

პროფესიული და კარიერული ზრდის საფეხურების გავლისათვის მასწავლებელმა 7 წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს მინიმუმ 7 სხვადასხვა აქტივობა. მაგალითად: ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობა, სასკოლო ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა, მოსწავლეთა გამარჯვება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონკურსებში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა და სხვ.

* * *

2010-2011 სასწავლო წელს საატესტატო გამოცდები, პირველად საქართველოში, კომპიუტერის მეშვეობით, ე.წ. „CAT“-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდება.

სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან ერთად საგამოცდო მასალათა ბაზის შექმნაზე მუშაობს. მასში შემავალი საკითხები, სირთულის მიხედვით, რამდენიმე (7-10) კატეგორიად იყოფა. დასაწყისში აპლიკანტს საშუალო სირთულის საკითხები ეძლევა, გაცემული პასუხებით პროგრამა ცოდნის დონეს აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი კატეგორიიდან მიეცეს აპლიკანტს შემდეგი საკითხები.

საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდა თითოეულ საგანში ერთსა და იმავე დღეს ჩატარდება. საგამოცდო პროცესის დამთავრებისთანავე ცნობილი გახდება, გადალახა თუ არა აპლიკანტმა კონკრეტული საგნისათვის დადგენილი კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, რომელიც შესაძლებლობების სკალის კონკრეტული ნიშნულით გამოისახება და არა ნიშნით. კომპიუტერული პროგრამის შეფასება არ აისახება მოსწავლის წლიურ ნიშანზე, დარჩება უცვლელი.

„CAT“-ის ტიპის საგამოცდო მოდელის უპირატესობებია:

➪ მოსწავლე საატესტატო გამოცდებს აბარებს საკუთარ სკოლაში;

➪ არ არის საჭირო საგამოცდო ტესტების ბეჭდვა (საშუალოდ: 55000X8=440 000 ტესტი), ტესტების დისტრიბუცია და შენახვა ბანკის საცავებში;

➪ არ არის საჭირო საგამოცდო ნაშრომების გამსწორებელთა კომისიების შექმნა;

➪ მოსწავლე გამოცდის დამთავრებისთანავე იგებს შედეგს.

საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციული შეხვედრები მეთორმეტეკლასელებთან მომავალშიც გაიმართება, მოსწავლეები ნებისმიერ კითხვაზე მიიღებენ ამომწურავ პასუხებს, რაც გამოცდებისთვის მზადების პროცესში დაეხმარებათ.

* * *

რამდენიმედღიანი შეჯიბრი კალათბურთში საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ინიციატივით, საბურთალოს რაიონის 16 საჯარო სკოლას შორის ჩატარდა. პირველ ადგილზე 52-ე საჯარო სკოლის გუნდი გავიდა, გამარჯვებულ გუნდს გიორგი მელაძემ თასი, მედლები და სიგელები გადასცა, გუნდის საუკეთესო მოთამაშე გიორგი ამირხანაშვილი დიმიტრი შაშკინმა პორტატული კომპიუტერით დაასაჩუქრა, მეორე და მესამე ადგილზე გასულ პირველი ექსპერიმენტული სკოლისა და 64-ე სკოლის გუნდებს მედლები და სიგელები გადაეცათ.

მოზარდებში სპორტით დაინტერესება იზრდება. პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი სასწავლო წლიდან, საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ფიზიკური განათლებისა და სპორტის გაკვეთილები ჩაენაცვლა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება, რომელიც გამოიხატება ფიზიკური განათლებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობების ინტეგრაციაში და იგი საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში ხორციელდება. შეიქმნა შესაბამისი სასწავლო პროგრამა, გადამზადდნენ პედაგოგები და მოეწყო ინფრასტრუქტურა.

ეწყობა სასკოლო ჩემპიონატები სპორტის სამ სახეობაში: ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი. სახეობებს სკოლები სურვილისამებრ ირჩევენ. ტურნირები რამდენიმე ეტაპად ტარდება, მასში ვაჟებთან ერთად გოგონათა გუნდებიც ასპარეზობენ.

პრეზიდენტის ინიციატივას, რომელიც მოზარდებში სპორტის პოპულარიზაციას ითვალისწინებს, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს პარლამენტარების, სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების, ცნობილი სპორტსმენებისა და სპორტის ექსპერტების სახით.

* * *

ახლად დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო პროცესში იმპლემენტირება 2011 წლის 15 სექტემბერს დაიწყება.

საწყის ეტაპზე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა პირველ საფეხურზე (I-VI კლასები) დაინერგება, ხოლო 2012 წლიდან ცვლილებები მეორე და მესამე საფეხურს შეეხება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში დანერგვის შესაბამისად ავტომატურად ყველა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს გაუუქმდება გრიფი, სახელმძღვანელოებს გრიფი ახალი გრიფირების წესების მიხედვით მიენიჭებათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი გრიფირების მიხედვით გამოაცხადა კონკურსი I-VI კლასების სახელმძღვანელოებისთვის, რომელიც მარტამდე გაგრძელდება. ხოლო 2011 წლის ნოემბერში კონკურსი გამოცხადდება VII-XII კლასების სახელმძღვანელოებზე.

გრიფირების ახალი წესის მიხედვით სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

➪ გრიფი მიენიჭება მხოლოდ იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს;

➪ გრიფის მოპოვების უფლება აქვს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს;

➪ გრიფი მიენიჭება იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოებს, რომელიც სრულად დაფარავენ პირველი საფეხურის საგნობრივ კურსს;

➪ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საგნობრივ სტანდარტებში შემოდის სავალდებულო შინაარსი; ჰუმანიტარულ საგნებში – 60%, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნებში – 80%;

➪ გრიფის მინიჭების შემთხვევაში, სახელმწიფო ავტომატურად ხდება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თანამესაკუთრე;

➪ გრიფირებული სახელმძღვანელოს დაბეჭდვა შეუძლია ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც გადაუხდის საავტორო უფლების მქონე პირს დადგენილი მოგების 25% -ს;

➪ სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იტოვებს უფლებას, საავტორო უფლების მქონე პირთან შეთანხმების შემთხვევაში, მთლიანად შეისყიდოს საავტორო უფლება.

* * *

ბროშურა „ინკლუზიური განათლება – განსაკუთრებული ბავშვების განსაკუთრებული ავტოპორტრეტები“ 198-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩანაწერების, ლექსებისა და პატარა მოთხრობების მცირე კრებულია, რომლის პრეზენტაციასაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაესწრო. ბროშურა მოამზადა და გამოსცა სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ბრიტანეთის საბჭოსთან (British Council) თანამშრომლობით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შემოქმედებითი კრებული პირველად გამოვიდა საქართველოში, დიმიტრი შაშკინმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უწოდა ამ ფაქტს და აღნიშნა, რომ ახლო წარსულში ტაბუდადებული „აუტისტური სპექტრის მქონე“ მოსწავლეთა შემოქმედების გაცნობა საზოგადოებას დაეხმარება ჩაწვდეს ამ ბავშვების შინაგან სამყაროს, გაიგოს რა აწუხებთ, რას განიცდიან, რა ინტერესები და შესაძლებლობები აქვთ მათ.

ღონისძიების მესიჯი იყო: „დაინახე ზღაპარი, რომელიც ჩემშია და რომელსაც ვატარებ!“, ბავშვებმა თავისი სათქმელი წერით გადმოსცეს, ვინაიდან მათ მეტყველებისა და სოციალური კომუნიკაციის პრობლემები აქვთ.

თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში 150 მოსწავლე სწავლობს, მათგან მხოლოდ 10%-ია სოციალურად დაუცველი, დანარჩენი 90% კი სპეციალური საჭიროების მქონეა, უმრავლესობას მეტყველების, მოტორიკის, ემოციური თუ სოციალური კომუნიკაციის პრობლემები ან ფუნქციათა შეზღუდვების მთელი კომპლექსი აწუხებთ, უჭირთ ფიზიკური თუ ფსიქიკური სტაბილურობის დაცვა, ურთიერთობა უფროსებთან თუ თანატოლებთან. აქედან გამომდინარე, სკოლის მულტიდისციპლინარულ გუნდს შემუშავებული აქვს თითოეულ მოსწავლეზე მორგებული განვითარების ინდივიდუალური სწავლების გეგმა. სისტემატურად ტარდება მონიტორინგი გეგმის შესრულებისა და შედეგების შესაფასებლად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე ზრუნვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტია და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

* * *

„საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საჯარო სკოლის დირექტორებს გადაამზადებს.

სისტემა, რომლის მიხედვითაც საჯარო სკოლის დირექტორთა გადამზადება და კონსულტირება მოხდება, სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებული და სკოლის დირექტორის სტანდარტთან შესაბამისობაში იქნება. ასევე სრულად იქნება თავსებადი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ მოსწავლეთა საინფორმაციო სისტემასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზასთან.

* * *

ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში ახალი სკოლა გაიხსნა. სოფელი შამგონა მდინარე ენგურსა და რუხისწყალს შორის მოქცეულ ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ერთადერთი კუნძულია. ესაზღვრება გალის რაიონის სოფლებს სიდასა და თაგილონს. ძველი სკოლა 1919 წლიდან ფუნქციონირებდა და სიძველის გამო ექსპლუატაციისთვის უვარგისი იყო.

შამგონას საჯარო სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ აშენდა. სკოლის მშენებლობაზე 900 600 ლარი დაიხარჯა.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მოსაზღვრე სკოლის მშენებლობისას ქართველ მშენებლებს ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად უხდებოდათ სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

სკოლა მთლიანად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, აქვს ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, 16 კომპიუტერით აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ოთახი, ბიბლიოთეკა, თანამედროვე სამეცნიერო ლაბორატორია.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში ახლადაშენებული სკოლა გახსნეს.

სკოლის ძველი შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, აუცილებელი გახდა ახალი სკოლის აშენება. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, 2008 წელს, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო და 2010 წლის სექტემბერში დასრულდა.

ახალი სკოლა სრულად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, ამჟამად 404 მოსწავლე სწავლობს.

სკოლის საქმიანობა საკმაოდ წარმატებულია. 2003 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით, დაძმობილებულია კალიფორნიის შტატის სოფელ ესპარტოს სკოლასთან.

პროექტის ფარგლებში, არაერთი გაცვლითი პროგრამა განხორციელდა. სოფელ გავაზის სკოლას ხშირად სტუმრობენ კალიფორნიის შტატის მოსწავლეები და მასწავლებლები.

ამავე პროექტის ფარგლებში, 2 კურსდამთავრებული 1 წლით გაემგზავრა აშშ-ში სასწავლებლად.

2007 წლიდან სკოლა, ასევე, ქაიროს ამერიკული კოლეჯის პარტნიორია. სკოლის მოსწავლეები, პროგრამის ფარგლებში, ხშირად მიემგზავრებიან ეგვიპტეში.

გავაზის სკოლას ორი ინგლისურენოვანი პედაგოგი ჰყავს და მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად ფლობს ინგლისურ ენას.

საქართველოს პრეზიდენტმა სკოლის წარჩინებული მოსწავლეები – ვალერი გიორგაშვილი და გვანცა ზაკალაშვილი პორტატული კომპიუტერებით დააჯილდოვა.

* * *

იმერეთის რეგიონის სოფელ ჩხარში ახლადაშენებული სკოლა გაიხსნა.

სკოლის მშენებლობა 2008 წელს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დაიწყო. სკოლის მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა. ახალი სკოლის მშენებლობა აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც 1991 წელს მიწისძვრის შედეგად შენობა ავარიული გახდა და შეწყდა სასწავლო პროცესი, მოსწავლეები კი სოფელ ჩხარის მიმდებარე სკოლებში გადანაწილდნენ.

ახალი სკოლის აშენებით სოფელ ჩხარის მოსწავლეებს საშუალება აქვთ ადგილზე მიიღონ სრულფასოვანი განათლება. ახალი სკოლა, რომელშიც 232 მოსწავლე სწავლობს, სრულად პასუხობს თანამედროვე სკოლის სტანდარტებს.

* * *

ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების სკოლების მშენებლობაა. მოსწავლეს, სადაც არ უნდა სწავლობდეს ის, უნდა ჰქონდეს საშუალება სრულფასოვანი განათლება მიიღოს თანამედროვე და კეთილმოწყობილ სკოლაში. ამ მიმართულებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად მუშაობს. სოფელ მლეთაში ახალი სკოლის მშენებლობა მას შემდეგ გადაწყდა, რაც ძველი, მე-19 საუკუნის სკოლის შენობა, ექსპლუატაციისთვის უვარგისი გახდა. მლეთაში მხოლოდ ერთი საჯარო სკოლაა და მას პატრონაჟს საქართველოს პირველი ლედი, ქალბატონი სანდრა რულოვსი უწევს.

ამ დროისთვის მლეთის სკოლის გარდა, საქართველოს მასშტაბით, კიდევ ათი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს, მათ შორის ექვსი სკოლის მშენებლობას მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

სოფელ მლეთაში მშენებლობა ივნისში დაიწყო, სკოლა ექსპლუატაციაში 31 აგვისტოს შევიდა. ადგილობრივი კლიმატის გათვალისწინებით შენობა ხის მასალისგან აშენდა, რაც საუკეთესო თერმოიზოლაციის საშუალებას იძლევა. ოთხმოც მოსწავლეზე გათვალისწინებულ თანამედროვე სტანდარტების სკოლაში კეთილმოწყობილია სპორტული დარბაზი და კომპიუტერული კლასი.

პირველკლასელ მოსწავლეებს მლეთის საჯარო სკოლაში, პრეზიდენტის პროგრამის ფარგლებში, დაურიგდათ ნეთბუკები, სადაც საგანმანათლებლო თამაშებია ჩატვირთული. ბავშვებს საშუალება აქვთ ინტერნეტით შევიდნენ საიტზე www.buki.ge და სხვადასხვა სახის ლიტერატურას გაეცნონ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 11 ოქტომბრიდან, დაიწყო პროექტის „კომპიუტერი ყველასთვის“ საპილოტე პროგრამა.

პროექტის მიზანია საზოგადოების ყველა სოციალურ ჯგუფს მიეცეს სასურველი კომპიუტერის ან ნოუთბუკის სპეციალურ ფასად შეძენის საშუალება, ორწლიანი განვადების პირობებში ღირებულება დღეში მხოლოდ ერთიდან ოთხ ლარამდე იქნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად პროექტს „კომპიუტერი ყველასთვის“ ახორციელებს კორპორაცია „ინტელი“. საქართველოში პროექტის პარტნიორები არიან: კომპანიები – „ალტა“, „ალგორითმი“ და „ტაოპრივატბანკი“.

პროექტის პრეზენტაციისთვის საქართველოში ჩამოვიდა კორპორაცია „ინტელის“ ექსპერტი და კონსულტანტი სახელმწიფო პროექტების დარგში რობერტ ფოგელი.

* * *

სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დონის ამაღლებისა და ამ საგნებით მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით, საჯარო სკოლებში პროგრამა „აინშტაინის“ განხორციელება დაიწყო.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი და სტრატეგიული გეგმის ნაწილია. ტექნიკური დარგების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2010-2011 სასწავლო წლისთვის, ეტაპობრივად, ყველა საჯარო სკოლა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის თანამედროვე ლაბორატორიებით აღიჭურვება. ლაბორატორიები 3 სრული კომპლექტისაგან შედგება და თითოეულში გაერთიანებულია კონკრეტული საგნის (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) სასწავლო თემატიკის შესაბამისად შედგენილი 18 ქვეკომპლექტი.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები მოსწავლეთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას მოემსახურება. მომავალში თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, შედეგის აღრიცხვა და გაანალიზება, სათანადო დასკვნის გამოტანა.

2010-2011 სასწავლო წლიდან ყველა საჯარო სკოლის მასწავლებელსა და მოსწავლეს საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისას და სწავლებისას ვირტუალური ლაბორატორიებით სარგებლობის საშუალება ექნებათ.

* * *

25-29 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს საჯარო სკოლებში, აკაკი წერთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა. კვირეულის ფარგლებში, სკოლებმა განახორციელეს სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის გაიმართა თხზულებების კონკურსი თემაზე: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“. კონკურსში, რომელიც 3 ეტაპად განხორციელდა – სასკოლო, რეგიონული და დასკვნითი, VIII-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

რეგიონულ კონკურსში გამარჯვებული თხზულებების ავტორებს სერტიფიკატები გადაეცათ, ხოლო საბოლოოდ გამარჯვებულ სამ მოსწავლეს სერტიფიკატებთან ერთად ფულადი პრიზები: I ადგილზე გასულ მოსწავლეს – 700 ლარი, II ადგილზე გასულს – 500 ლარი, III ადგილის მფლობელს კი – 300 ლარი.

გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოება აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში სოფელ სხვიტორში გაიმართა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს კულტურისა და კომუნიკაციების განყოფილების უფროსმა ელჩმა ვერნერ ვნენდტმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა.

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა ინტერკულტურული დიალოგის სკოლას წარმოადგენს. გერმანელი მასწავლებლები ბავშვებს გერმანულ ენაზე თიურინგიის ფედერალური მხარის სასწავლო გეგმის მიხედვით ასწავლიან; ქართველი მასწავლებლები – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას.

გერმანული ენის პარალელურად, მოსწავლეები პირველივე კლასიდან შეისწავლიან ინგლისურ ენასაც, მაღალ კლასებში დაემატებათ სხვა მსოფლიო ენები (მაგ. რუსული ან ფრანგული), რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემთ მზად იყვნენ მსოფლიო გამოწვევებისთვის.

გერმანული სკოლის კურსდამთავრებულები საერთაშორისოდ აღიარებულ ატესტატს მიიღებენ. ბავშვებს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არა მხოლოდ ევროპის, არამედ ჩრდილოეთ ამერიკისა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში მიეცემათ.

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეების ერთი ნაწილი გერმანულ-ქართული ოჯახებიდანაა და ორენოვან გარემოში იზრდება, ნაწილი საქართველოში წარმოგზავნილი გერმანულ ორგანიზაციებში დროებით მომუშავე თანამშრომლების შვილები არიან. სკოლაში ასევე სწავლობენ ისეთი ქართველი ბავშვები, რომლებსაც გერმანიასთან კავშირი არა აქვთ და მათ არჩევანში გადამწყვეტი როლი გერმანიის განათლების სისტემის ავტორიტეტმა ითამაშა.

საწყის ეტაპზე სკოლის დირექტორი ანდრე ბეტცი და მისი გუნდი ზიგფრიდ მეშედეს ხელშეწყობით იმუშავებს, რომელიც წლების განმავლობაში ინდოეთსა და ჩინეთში გერმანული სკოლის დირექტორი იყო. გერმანულ საერთაშორისო სკოლაში დაწყებითი სკოლის პირველი კლასის გარდა, საბავშვო ბაღი და მოსამზადებელი ჯგუფიც ფუნქციონირებს.

* * *

საპილოტე სკოლების პირველკლასელებისთვის მომზადდა ინგლისური ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოები.

სახელმძღვანელოს კონცეფცია სპეციალურად პირველკლასელი მოსწავლეებისთვის ექსპერტებისა და ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად შეიქმნა. მასში გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკი, მსოფლმხედველობა და უნარ-ჩვევები. სახელმძღვანელო მოსწავლეებისთვის სახალისოა და იოლად ასათვისებელი.

„ინგლისური ენის სწავლებას თანამედროვე მსოფლიოს პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამ საერთაშორისო ენის ცოდნა ახალგაზრდას ბევრ შესაძლებლობას უხსნის. როგორც ცნობილია, მოზარდი უცხო ენას ადრეული ასაკიდან უფრო იოლად ეუფლება. საპილოტე სკოლებში, იქ სადაც პირველკლასელებს „ნეთბუქები“ დაურიგდათ, ინგლისური ენის შესწავლაც პირველი კლასიდან დაინერგა. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესი მაღალ პროფესიულ დონეზე შექმნილი სახელმძღვანელოებით წარიმართება“ – აცხადებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი.

მომავალი სასწავლო წლიდან ინგლისური ენის შესწავლა პირველი კლასიდან ყველა საჯარო სკოლაში დაიწყება.

* * *

2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა 25381 ათასი აბიტურიენტი, მათგან 3276 – უმაღლესი პროფესიული პროგრამების.

2085 აბიტურიენტი მეორადი ჩარიცხვების შედეგად გახდა სტუდენტი – პირველადი ჩარიცხვებით რეგისტრირებული 36 ათასზე მეტი აბიტურიენტიდან სტუდენტი გახდა 23296.

აკადემიურ მიმართულებებზე სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა 7902-მა სტუდენტმა (მათგან 998-მა – 100%-იანი გრანტი).

უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა 475-მა სტუდენტმა (მათგან 42-მა 100%-იანი გრანტი მიიღო).

მიმართულებების მიხედვით გრანტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მეოთხე გამოცდა	სულ	100%
მათემატიკა	3,019	374
ისტორია	2,204	273
გეოგრაფია	371	50
ლიტერატურა	1,526	187
ფიზიკა	19	12
ქიმია	150	22
ბიოლოგია	613	80

* * *

2010-2011 სასწავლო წლიდან ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სხვა სიახლეებთან ერთად, შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ფიზკულტურის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებმა ჩაანაცვლა.

სპორტის გაკვეთილების უფრო ეფექტურად და ხარისხიანად დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და სპორტის ფედერაციების ერთობლივი ძალისხმევით, შეიქმნა „გზამკვლევების კრებული სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“ (VII XII კლასები), სადაც შეტანილია სპორტის 26 სახეობა (სათამაშო სახეობები, ორთაბრძოლის სახეობები, ინდივიდუალური სახეობები).

სასწავლო პროგრამაში მასალა გაწერილია კლასების მიხედვით და დაცულია სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, განსაკუთრებით თანდათანობისა და მისაწვდომობის პრინციპი. სკოლა ირჩევს სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან მინიმუმ იმ 3 სახეობას, სადაც მონაწილეობის საშუალება ეძლევათ როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს ერთად (გუნდურად) ან ცალ-ცალკე.



* * *

ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლის პროფესიული ეთიკის, სკოლის დირექტორის ეთიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსები ამოქმედდა.

საქართველოს სკოლებში, კოდექსების დამტკიცებამდე, სამუშაო შეხვედრები და განხილვები ჩატარდა მრჩეველთა საბჭოსთან, დირექტორებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. კოდექსის საბოლოო ვარიანტში ასახულია ყველა კონსტრუქციული შენიშვნა და მოსაზრება, რომელიც შეხვედრებზე გამოითქვა.

კოდექსის ამოქმედება ხელს უწყობს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და ეთიკურად გამართლებული ურთიერთობების დამყარებას მასწავლებლებს, დირექტორებსა და მოსწავლეებს შორის. ეთიკის კოდექსების საფუძველზე, ყველა სკოლა შეიმუშავებს საკუთარ შინაგანაწესს.

* * *

პირველად საქართველოში, არაქართველი მოსწავლეებისათვის ორენოვანი სახელმძღვანელოები გამოიცა, სადაც სასწავლო მასალის 35% ქართულ ენაზეა. სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ითარგმნა VII, VIII, X, XI და XII კლასების ისტორიისა და გეოგრაფიის წიგნები, რომლებიც უფასოდ გადაეცემათ მოსწავლეებს. ბილინგვური სწავლება არაქართულენოვან მოსწავლეებს სახელმწიფო ენის შესწავლაში დაეხმარება.

2010-2011 აკადემიური წლისათვის სამინისტრომ სულ 35 874 არაქართულენოვანი მოსწავლე უზრუნველყო ისტორიისა და გეოგრაფიის ორენოვანი წიგნებით (სულ: 75 895 სახელმძღვანელო). ასევე, არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების ყველა მე-4 კლასის მოსწავლემ უსასყიდლოდ მიიღო „ქართული, როგორც მეორე ენის“ სახელმძღვანელო.

ქართული ენის პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული ინიციატივისათვის სახელმწიფომ, 2010 წლისათვის, 600 000 ლარზე მეტი გამოყო. მოსწავლეებმა წიგნები თავიანთ სკოლებში სწავლის დაწყებამდე მიიღეს. მომავალში სახელმძღვანელოები სკოლის ბიბლიოთეკებს დარჩება და შემდგომში მის გამოყენებას სხვა არაქართულენოვანი მოსწავლეები შეძლებენ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძესთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიგი თევზაძესთან ერთად სტეფანწმინდაში ოფიციალურად გახსნა ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი არის კვლევითი ცენტრი, სადაც სხვადასხვა დარგის მეცნიერებისათვის შექმნილია მუშაობის და კვლევის თანამედროვე პირობები. ამავე დროს ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი შეასრულებს როგორც სტეფანწმინდის, ასევე მთლიანად ამ რეგიონის საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას, აქ შესაძლებელი იქნება კონფერენციების, სემინარების, საზაფხულო სკოლების და სხვა ღონისძიებების ჩატარება რეგიონის ახალგაზრდებისათვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ცეზარ ჩოჩელი და სხვა ოფიციალური პირები.

* * *

სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2010-2011 სასწავლო წელს, სასწავლო გრანტი გაიცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ, გარკვეული კატეგორიის სტუდენტებზე, დაფინანსდა დაახლოებით 800-მდე სტუდენტი. 2010-2011 სასწავლო წელს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის, სოციალური პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილია 1 073 000 ლარი.

* * *

2010 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ცვლილებები შევიდა უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების შესახებ კანონებში. საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო ხდება ავტორიზაცია იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია. ავტორიზაციის გარეშე დაწესებულება არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და განახორციელოს ამ სტატუსიდან გამომდინარე საქმიანობა: მიანიჭოს ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, პროფესიული კვალიფიკაცია ან გასცეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

„პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით პროფესიული განათლება ჩამოყალიბდა აკადემიური განათლების სრულფასოვან ალტერნატივად, რომელიც დასაქმების ბაზართან უფრო მეტად თავსებადია. პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული კვალიფიკაცია და იღებს პროფესიულ დიპლომს. პროფესიულ კვალიფიკაციათა რიცხვს განეკუთვნება: ბუღალტერ-მოანგარიშე, ვებ-ტექნოლოგი, მშენებლობის მენეჯერი, სასტუმროს საქმის სპეციალისტი, ლანდშაფტის დიზაინერი, ფერმერი, მეღვინე.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის საჯარო სკოლების ოთხასი მანდატურის ფიცის დადების ცერემონიას დაესწრო.

მანდატურებმა ფიცი დადეს, რომ შეგნებული აქვთ საჯარო სკოლებში დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა და მზად არიან სკოლაში წესრიგი და უსაფრთხოება უზრუნველყონ, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სწორ აღზრდას, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, პატივი სცენ სკოლაში მყოფი პირების უფლებებსა და თავისუფლებებს.

სკოლებში უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ახალი სასწავლო წლიდან თბილისსა და საქართველოს დიდი ქალაქების საჯარო სკოლებში მანდატურები შევლენ. მანდატურთა სამკაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ერთი ქალბატონია, უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ და სრულად ფლობენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც სკოლაში კონფლიქტების მოგვარებაში დაეხმარებათ. მანდატურების ფუნქციაა დანაშაულის პრევენცია და ბავშვისთვის ყველა სახის დახმარების გაწევა. მათ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება ეკრძალებათ და ვალდებულნი არიან მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნონ.

სპეციალური ფორმითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით აღჭურვილი მანდატურები საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდებიან. უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ახალი ინიციატივის მიზანია, სწავლის პერიოდში მშობლებს შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონდეთ.

* * *

წელს პირველად საქართველოში მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდა.

სასერტიფიკაციო გამოცდებში, საქართველოს მასშტაბით, 10 000-ზე მეტი პედაგოგი მონაწილეობდა, მათგან ორ გამოცდას – პროფესიულ უნარებსა და სპეციალობაში 6075 პედაგოგი აბარებდა. ორივე გამოცდაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი გადალახეს და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 1147 ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და უცხო ენის პედაგოგს (პედაგოგთა საერთო რაოდენობის 11%-ს).

გამოცდაზე გასვლა და პროფესიულ უნარებში გამოცდის ჩაბარება სხვა საგნების პედაგოგებსაც შეეძლოთ. თითო საგანი ჩააბარა გამოცდაზე გასული პედაგოგების 50%-მა, მათ ეს ქულა ენახებათ და განმეორებით გამოცდაზე მხოლოდ ერთ საგანს ჩააბარებენ. ქართულ ენაში ბარიერი გადალახა 702-მა მასწავლებელმა, მათემატიკაში – 480-მა, უცხო ენებში –1253-მა, პროფესიულ უნარებში – 1253-მა.

ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში, პედაგოგი აგრძელებს მუშაობას და 2014 წლამდე განმეორებით გამოცდაზე რამდენჯერმე გასვლის საშუალება აქვს.

2014 წლამდე ყველა მოქმედი პედაგოგი გაივლის სერტიფიცირებას და 2014 წლიდან საქართველოს ყველა სკოლაში იქნება სერტიფიცირებული მასწავლებელი, რაც, თავისთავად, გულისხმობს მასწავლებელთა კვალიფიციკაციის ამაღლებას და სწავლების ხარისხის ზრდას.

* * *

„ვასწავლოთ ქართული ენა, როგორც მეორე ენა“ – პროგრამა 2009 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ იყო ინიცირებული და მას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს. პროგრამის სრული სახელწოდებაა „კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“. პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებს ხელფასი 1000 ლარი აქვთ (საათობრივი ანაზღაურების გარეშე). მასწავლებლები სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ასწავლიან.

ისინი ასწავლიან არა მარტო სკოლებში, არამედ ქმნიან არასასკოლო ჯგუფებს, კლუბებს, სადაც უფროსებს, მასწავლებლებს, მშობლებს შეეძლებათ ისწავლონ ქართული ენა. პროგრამა მასშტაბური და მრავალფეროვანია. ყველა თემის ყველა მსურველს ექნება საშუალება ჩაეწეროს და მიიღოს მონაწილეობა.

2009-2010 წლებში ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში 1000-მდე პედაგოგმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. სულ კონკურსის საფუძველზე, ტესტირების და გასაუბრების გავლის შემდეგ, შეირჩა 64 მონაწილე.

კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გადაამზადა, მათ ჩაუტარდათ ტრენინგები, სადაც დაეუფლენ სწავლების მეთოდებს, ასევე, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებს სასაუბრო დონეზე.

* * *

მომზადდა დირექტორის სტანდარტი – ნორმატიული დოკუმენტი, რომელზეც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები მუშაობდნენ. ეს დოკუმენტი სკოლის დირექტორის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სტანდარტს ადგენს.

სკოლის დირექტორის სტანდარტზე მომუშავე ჯგუფში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, იურისტები, ფსიქოლოგები, ასევე, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ის წარმომადგენლები. USAID-ის განათლების მართვის პროექტის დაფინანსებით, სპეციალურ კონსულტანტებად მოწვეული იყვნენ ჰარვარდისა და ვანდერბილდის უნივერსიტეტის პროფესორები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სკოლის დირექტორებისთვის დამხმარე პროფესიული სახელმძღვანელოს შემუშავებასაც გეგმავს.

* * *

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადიდან საქართველოს ნაკრები გამარჯვებული დაბრუნდა. ნაკრების წევრებს ფულადი ჯილდოები და სიგელები გადაეცათ.

ორი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს მედალი და ორი საპატიო სიგელი მოიპოვა 6 მოსწავლისაგან შემდგარმა საქართველოს ნაკრებმა გუნდმა მათემატიკის 51-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე IMO 2010, რომელიც ყაზახეთში, ქ. ასტანაში 2-14 ივლისს გაიმართა.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის გამარჯვებულები არიან:

ლაშა ლაკირბაია, თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XII კლასის მოსწავლე – ვერცხლის მედალი;

ლაშა ფერაძე, თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XII კლასის მოსწავლე – ვერცხლის მედალი;

ცოტნე ტაბიძე, ქუთაისის ა.რაზმაძის სახ. 41-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე – ბრინჯაოს მედალი;

გიგა გუმბერიძე, თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონის „კომაროვი“ XI კლასის მოსწავლე – ბრინჯაოს მედალი;

გიორგი გიგლემიანი, თბილისის 42-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე – საპატიო სიგელი;

ნოდარ ამბროლაძე, ქუთაისის ა.რაზმაძის სახ. 41-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე – საპატიო სიგელი.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში წელს 97 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა გუნდმა ქულათა მაჩვენებლით ისეთ ქვეყნებს გაუსწრო, როგორებიცაა: ესპანეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ავსტრია, ნიდერლანდები, დანია და სხვ. გამარჯვებული მოსწავლეები ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ: ვერცხლის მედლის მფლობელებს თითოეულს 3 000 ლარი გადაეცა, ბრინჯაოს მედალოსნებს – თითოეულს 2 000 ლარი.

საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განახორციელა. 2010 წელს საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადებზე საქართველომ დელეგაციები სამ დისციპლინაში – ფიზიკაში, მათემატიკასა და ინფორმატიკაში წარადგინა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჟურნალისტებისთვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის განახლებული საიტის – www.tpdc.ge პრეზენტაცია გაიმართა. განახლებული საიტი, საინტერესო და ინფორმაციული გახდა. საიტზე განთავსდება ყველა სიახლე, ცენტრის მიმდინარე საქმიანობა, დაგეგმილი აქტივობები. შინაარსთან ერთად, განახლდა საიტის დიზაინიც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველდღიურად საიტზე უახლესი ინფორმაცია განთავსდება, ხოლო დაინტერესებულ პირებს ცენტრის სიახლეები ელფოსტითაც დაეგზავნებათ.

ახალი ვებგვერდი მაქსიმალურად სასარგებლო იქნება როგორც მოქმედი მასწავლებლებისთვის, ასევე ყველა დაინტერესებული პირისთვის. საიტის სტუმარი შეიტყობს, პროფესიული განვითარების რა შესაძლებლობები აქვთ მასწავლებლებს, როგორ გაიარონ სერტიფიცირება, როგორ მოიპოვონ მასწავლებლობის უფლება, როგორ მიიღონ მონაწილეობა დასაქმების სახელმწიფო პროგრამებში. ვებგვერდზე განთავსდება ფილმები, ვიდეოგაკვეთილები, ვირტუალური თამაშები და ლაბორატორიები, სატრენინგო მოდულები, სახელმძღვანელოები და სხვა მრავალი ინტერნეტრესურსი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ახალი პორტალის www.buki.ge პრეზენტაცია გაიმართა. მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის 50 პირველკლასელსა და მათ მშობლებს ნეთბუქი „ბუკი“ წარუდგინა. 2010 წლის სექტემბრიდან, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ბათუმის, ზუგდიდისა და წეროვნის სკოლებში, ასევე სამ-სამ საპილოტე სკოლაში ქუთაისსა და თბილისში ახალი პროექტი ამოქმედდა და მის ფარგლებში ზემოაღნიშნული სკოლების პირველკლასელებს ნეთბუქები საჩუქრად გადაეცათ. თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების პროგრამის ფარგლებში, სამინისტრომ შექმნა ახალი პორტალი www.buki.ge, სადაც განთავსდა სასწავლო-შემეცნებითი თამაშები, სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ელექტრონული ვერსიები, ინფორმაცია არაერთ მნიშვნელოვან თემაზე, დაინტერესებული პირები საიტის მეშვეობით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდებს გაეცნობიან, რაც სწავლის პროცესს უფრო ინტერაქტიურსა და საინტერესოს გახდის.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სასკოლო საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა სკოლებს ფულადი პრემიები გადასცა. საგნების მიხედვით მიღწეული შედეგების საფუძველზე, შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი რეიტინგული სია, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ქულები, საქართველოს მასშტაბით, 27-მა სკოლამ დაიმსახურა და შესაბამისად I, II, III ადგილები დაიკავეს.

პირველ ადგილზე გასულ სკოლებს 5 000 ლარი გადაეცათ, მეორე ადგილზე – 4 000, მესამე ადგილზე – 3 000 ლარი. პრემიის სახით მიღებული თანხა სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება.

ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა შორის საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენელია, ბევრი წარმატებული მოსწავლე ჰყავს სოფლის სკოლებს. ტექნიკურ საგნებში დიდი მომზადება აჩვენეს სპეციალიზებულმა სკოლებმა: ი. ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლამ, ა. რაზმაძის სახელობის 41-ე საჯარო სკოლამ და თბილისის 199-ე სკოლა-პანსიონმა „კომაროვი“. სწორედ ამ სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ოლიმპიადებში, საიდანაც ასევე გამარჯვებულები დაბრუნდნენ ჩვენი მოსწავლეები.

ქართულში, ქიმიაში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და უცხო ენებში პირველ ადგილებზე წალენჯიხის, საგარეჯოს, ოზურგეთისა და ზუგდიდის რაიონების მოსწავლეები გავიდნენ, ისინი იმ 123 მოსწავლეს შორის იყვნენ, ვინც საქართველოს პრეზიდენტმა ოლიმპიადებში გამარჯვებისთვის ფულადი პრემიებითა და სიგელებით დააჯილდოვა.

2010 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში საქართველოს ყველა რაიონის სკოლებიდან 100 ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება, საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

* * *

2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ძირითადი სიახლეები:

➪ აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მიზნით ყველა აბიტურიენტი აბარებს 4 გამოცდას;

➪ 2010 წლიდან აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა არა მარტო ზოგადი უნარების, არამედ 4 გამოცდის შედეგის საფუძველზე (ზოგადი უნარების გამოცდის წონაა 1,5);

➪ აბიტურიენტს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულად ჩაეთვლება, თუ ის დააგროვებს თითოეული გამოცდისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტს (უცხოური ენებისათვის – 20%-ზე მეტს). უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ გაზარდოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;

➪ ზოგადი უნარების ტესტის თითოეულ ნაწილში იქნება 40 (და არა 50) დავალება, ხოლო ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტებს კვლავ 3 საათი მიეცემათ;

➪ 2010 წელს საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩააბარონ მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდა სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე და ამ გამოცდის საფუძველზე მიღებული სკალირებული ქულით მოიპოვონ სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

* * *

ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში შემოვიდა „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასის მოსწავლეთათვის“. აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებულია დაწყებითი კლასის სადამრიგებლო საათისთვის და მოიცავს: დამრიგებლის მუშაობის მიზანს, მუშაობის პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო პროგრამის განხორციელებისათვის, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებათა დახასიათებას, სადამრიგებლო საათის თემებს, ნიმუშებსა და სასარგებლო რესურსებს. ყველა კლასის დამრიგებელი, „სადამრიგებლო საათის“ ფარგლებში, მინიმუმ კვირაში ერთხელ, ბავშვებს ჩაუტარებს გაკვეთილს მოზარდებისთვის აქტუალურ და საინტერესო თემატიკაზე, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი – პირადი ჰიგიენა, სასარგებლო საკვები, დღის რეჟიმი, სპორტის მნიშვნელობა, მავნე ჩვევების საფრთხე; მორალური განვითარება – ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ეტიკეტი; მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება – ჩემი ეზო, ჩემი სკოლა, ჩემი სამშობლო, გამოჩენილი პიროვნებები, მნიშვნელოვანი მოვლენები, ტრადიციები, წესები და კანონები; გარემოს და ბუნების მოფრთხილება; თვალსაწიერის გაფართოება – ხელოვნების, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური მიღწევების მნიშვნელობა და სხვ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, აღნიშნული პროგრამის გაცნობის მიზნით, ფოკუს-ჯგუფები ჩაუტარა თბილისის რამდენიმე სკოლის დამრიგებლებს, რომელთაც გამოთქვეს მოსაზრება, რომ პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის და შემდგომი მუშაობისთვის კარგი დამხმარე რესურსი იქნება.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა ახალი ფრანგული კავკასიის სკოლა გახსნა. სკოლის გახსნის ცერემონიას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი ერიკ ფურნიე დაესწრნენ.

ფრანგული სკოლა დაფუძნებულია ფრანგულ საგანმანათლებლო სისტემაზე, ხოლო ქართული ენა ყველა კლასში შეისწავლება. სკოლა სარგებლობს საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერითა და დახმარებით. კავკასიის ფრანგულ სკოლაში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღიც. ასევე, აღსანიშნავია, რომ თითო დონეზე სკოლაში ერთი კლასი იქნება. ადგილობრივად დაქირავებული ფრანგი პედაგოგები და მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი (16-18 მოსწავლე კლასში, 240-270 მოსწავლე მთლიანობაში) სწავლების მაღალი ხარისხის გარანტი იქნება.

2010-2011 სასწავლო წელს დაგეგმილია საბავშვო ბაღის, დაწყებითი სკოლის ყველა კლასისა და საშუალო სკოლის VI-VIII კლასების გახსნა.

ევროპული სტანდარტების შესაბამისად აგებული შენობა მოიცავს სწავლებისთვის საჭირო დიდ სივრცეს, შენობაში არის შიდა და გარე სპორტული მოედნები, 25-მეტრიანი აუზი, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების კაბინეტები, დიდი ბიბლიოთეკა, ვიდეო და სააქტო დარბაზი, კაფეტერია. კავკასიის ფრანგული სკოლის მიერ გაცემულ ატესტატს აღიარებს საფრანგეთისა და ევროპის ყველა სახელმწიფო, რაც მის კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, დაუბრკოლებლად გააგრძელოს სწავლა მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

* * *

წეროვანის №3 საჯარო სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტი გაიხსნა. კაბინეტი უცხო ენების გაძლიერებულად სწავლების პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა და კეთილმოეწყო. მოსწავლეები უცხო ენას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეისწავლიან.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი საქართველო-რუსეთის ორასწლოვანი კონფლიქტის შესახებ მომზადებული ვებგვერდის პრეზენტაციას დაესწრო და ამავე თემაზე გამართული კონფერენციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიება ორგანიზაციის „საქართველოს დეპუტატთა კლუბი – 28 ოქტომბერი“ ინიციატივით განხორციელდა და მასში ექსპერტები, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, მედიისა და სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ინფორმაცია საქართველო-რუსეთის ორასწლოვანი კონფლიქტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.200.org.ge, სადაც განთავსებულია ამ მოვლენის ამსახველი ვრცელი ინფორმაცია და დოკუმენტური ფოტომასალა.

* * *

წელს, პირველად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წლის საუკეთესო მოსწავლე, მასწავლებელი, დირექტორი, კერძო და საჯარო სკოლა, ასევე, საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი გამოავლინა:

➪ წლის საუკეთესო მოსწავლე – ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე ცოტნე ტაბიძე;

➪ წლის საუკეთესო მასწავლებელი – თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მასწავლებელი ივანე კვიტაშვილი;

➪ წლის საუკეთესო დირექტორი – თბილისის 94-ე საჯარო სკოლის დირექტორი მარინა ჩაგანავა;

➪ წლის საუკეთესო რესურსცენტრის ხელმძღვანელი – ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი;

➪ წლის საუკეთესო ახალი სკოლა – ახალი კავკასიის ფრანგული სკოლა;

➪ წლის საუკეთესო საჯარო სკოლა – თბილისის თავისუფალი ვალდორფის 196-ე საჯარო სკოლა;

➪ წლის საუკეთესო კერძო სკოლა – გ.ზალდასტანიშვილის სახელობის აკადემია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ზემოთ ჩამოთვლილ ნომინაციებში გამარჯვებულებს სპეციალურად დაწესებული ჯილდოები გადასცა და აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის წაახალისებს წარმატებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს, ასევე კერძო და საჯარო სკოლებს, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს, რომ მათ ჰქონდეთ მოტივაცია კიდევ უფრო დიდი წარმატებების მისაღწევად.

* * *

ქართული კალიგრაფია

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კალიგრაფიის კონკურსის საპრიზო ადგილებსა და ნომინაციებში გასული კონკურსანტები გამოვლინდნენ. ყველა ფინალისტს გადაეცა სიგელი და სიმბოლური საჩუქარი. გამარჯვებულ მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ აკაკი სეფერთელაძემ დიპლომები და პორტატული კომპიუტერები გადასცა.

კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და არასამთავრობო ორგანიზაციის „წამი“ ორგანიზებით ჩატარდა.

პროექტის მიზანი ახალგაზრდებში ხელით წერის კულტურის განვითარება და მათი შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა იყო.

კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულ მონაწილეებს სპეციალური პრიზები გადასცეს საპატრიარქომ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სამხატვრო აკადემიამ, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, საზოგადოებისთვის ცნობილმა ადამიანებმა, გამომცემლობებმა და სხვა ორგანიზაციებმა.

კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების V-XII კლასების მოსწავლეები, ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც.

დედა ენის დღეს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მრჩეველთა საბჭო საზოგადოებისთვის ცნობილი და ღვაწლმოსილი პიროვნებებისგან დაკომპლექტდა. აკადემიკოსები, ღვაწლმოსილი პედაგოგები, ექსპერტები და ბიზნესის წარმომადგენლები ამიერიდან განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩაერთვებიან.

* * *

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. ცენტრის მისია მუზეუმში საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურება, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა და სამუზეუმო აუდიტორიის გაფართოებაა.

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრში რამდენიმე პროგრამა განხორციელდა. ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სალონი, ტარდება განათლების კვირეულები, გამოფენები და კონკურსები. აღსანიშნავია პროგრამა „ვისწავლოთ მუზეუმში“, რომელიც გულისხმობს სკოლების მიერ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას მუზეუმის ტერიტორიაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი რეზო აფხაზავა თბილისის საჯარო სკოლების დირექტორებს შეხვდნენ.

* * *

საქართველოს საჯარო სკოლებში ეროვნული შეფასება ჩატარდა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რა ცოდნა და უნარები აქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში 5000-ზე მეტ მეცხრეკლასელ მოსწავლეს.

ეროვნული შეფასება ფართომასშტაბიანი კვლევაა, რომლის მიზანია ქვეყანაში ზოგადი განათლების ხარისხის შეფასება. მის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ეროვნული სასწავლო გეგმის დასახვეწად; ქვეყანაში მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად; რეკომენდაციების მოსამზადებლად როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, სკოლების დირექტორებისთვის, მშობლებისთვის; სახელმძღვანელოების ავტორებისთვის; პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის; განათლების ექსპერტებისთვის.

მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა 16%-ზე მეტმა მიღწევის მაღალი დონე აჩვენა, რაც საერთაშორისო სტანდარტით კარგი მაჩვენებელია. რეგიონებს შორის საუკეთესო შედეგები აქვთ მოსწავლეებს თბილისში, კახეთსა და იმერეთში. მე-9 კლასის მოსწავლეთა შედეგები გაცილებით უკეთესია დიდ ქალაქებში, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა შემდეგი ქალაქები: ქუთაისი, თბილისი, თელავი, რუსთავი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ლალი ებანოიძემ მოსწავლეთა ნახატების კონკურსის „სადაკო – მშვიდობის ელჩი“ გამარჯვებულები: თბილისის 139-ე საჯაროს სკოლის მოსწავლე ნიკა მაღელანი, თბილისის ს. ვირსალაძის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლე ნოდარ პირველი და ქუთაისის მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლე თამარ იოსელიანი კომპიუტერებით დააჯილდოვა. კონკურსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკომ“ ჩაატარა და მასში, საქართველოს მასშტაბით, 300-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა.

სადაკო სასაკის ისტორია ყველა იაპონელისათვის ცნობილია. გოგონა 1945 წლის 6 აგვისტოს ჰიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების თვითმხილველი იყო და 1954 წელს ლეიკემიით გარდაიცვალა. მეგობრებმა, რომლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ მისი სიმამაცით და სიძლიერით, სადაკოს წერილები წიგნად გამოსცეს. სადაკოს 1000 ქაღალდის წეროს ამბავი კი ლეგენდად იქცა. ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალურ პარკში დგას სადაკოს ბრინჯაოს ძეგლი ოქროსფერი წეროთი ხელში.

* * *

განათლების რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, საქართველოში ე.წ. ALUMNI პროგრამის ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო. პროგრამა წარმატებით ხორციელდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ალუმნაიას პროგრამა მიზნად ისახავს სკოლებში წარმატებულ კურსდამთავრებულთა კლუბების შექმნას, რომლის წევრებიც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას თავიანთი სკოლების განვითარებაში.

აღნიშნული პროექტი პირველად თავად განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა 52-ე სკოლაში წარადგინა, სადაც ის 11 წლის განმავლობაში სწავლობდა. მისი მხარდაჭერით 52-ე სკოლაში გარემონტდა და სათანადო ინვენტარით აღიჭურვა ერთ-ერთი საკლასო ოთახი. დიმიტრი შაშკინის თქმით, აღნიშნული პროექტი სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს საკუთარი წვლილი შეიტანონ სკოლის კეთილდღეობასა და წარმატებაში. *„ყველა სკოლას ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებული და თუ მათ აქვთ სურვილი დაეხმარონ მშობლიურ სკოლას, ეს პროგრამა ამის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს ნებაყოფლობითია, დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე და შესაძლებლობებზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 11 წელი ვმუშაობდი ამერიკულ კორპორაციაში და ძირითადად ვმუშაობდი საზღვარგარეთ. მე დღეს მაქვს შესაძლებლობა დავეხმარო ჩემს სკოლას, რომელთანაც ძალიან ბევრი თბილი მოგონება მაკავშირებს და ამ სახით მინდა გამოვთქვა მადლობა იმ სკოლის მიმართ, რომელშიც თერთმეტი წელი გავატარე“* – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

* * *

1 მარტიდან დაიწყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1000 ინგლისურენოვანი მასწავლებლის ჩამოყვანას ითვალისწინებს. პროგრამის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა. უცხოელი პედაგოგები ქართველ კოლეგებთან ერთად მოსწავლეებს ინგლისურ ენას გაძლიერებულად შეასწავლიან. უცხოელი პედაგოგები საქართველოში ივლისში ჩამოვიდნენ. პირველი ორი თვის განმავლობაში ისინი ჩვენს ქვეყანას გაეცნენ და ქართული ენის შესწავლის სურვილიც გამოთქვეს. საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების სკოლებს, მათ შორის მცირეკონტინგენტიან სკოლებსაც მოიცავს. ინგლისური ენის სპეციალისტები ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან და ახალი ზელანდიიდან ჩამოვიდნენ.

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი წყნეთის ბავშვთა სახლის განახლებული ბიბლიოთეკის გახსნას დაესწრო. ბიბლიოთეკა „ბი-ემ-კეი“-ჯგუფმა გაარემონტა და სახელმძღვანელოებით აღჭურვა. პროექტი „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა. *„ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვმა წიგნთან მეგობრობა ბავშვობიდანვე ისწავლოს და ორმაგად მნიშვნელოვანია, როდესაც ეს ხდება ბავშვთა სახლში“* – აღნიშნა მინისტრმა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, განათლების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალი სასწავლო კურსი შეიმუშავა. კურსში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცა: სამოქალაქო თავდაცვა, საგზაო უსაფრთხოება, პირველადი სამედიცინო დახმარება, ქართული ჯარის ისტორია და ქართული არმიის შეიარაღების მიმოხილვა.

ექსპერტებისგან შემდგარმა უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო კურსის კონცეფციაზე მუშაობა აპრილში დაასრულა. სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე შეირჩა საპილოტე სკოლები, რომლებშიც სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლება ხორციელდება. მიღებული პილოტირების შედეგების ანალიზის შედეგად, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსი საბოლოო სახით ჩამოყალიბდება და სკოლებში სავალდებულო საგანი გახდება.

* * *

თბილისის 65-ე საჯარო სკოლაში, კონკურსის „ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია“ ფარგლებში, მოსწავლეებმა ლიტერატურული და ფერწერული ნამუშევრები წარმოადგინეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამაჩაბლოდან დევნილი სტუდენტები, რომლებმაც რუსული აგრესია საკუთარ თავზე გამოცადეს. ომის დღეებში განცდილი ემოციები სტუდენტებმა მოსწავლეებს გაუზიარეს. შეხვედრას ესწრებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე აკაკი სეფერთელაძე, რომელმაც აღნიშნა: *„ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი კარგი ახალგაზრდა თაობა ჰყავს“.*

* * *

მე-2 საჯარო სკოლა ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულებაა ბათუმში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამლევს, ბათუმის მოწინავე ინტელიგენციამ და ქალაქის თვითმართველობამ ლუკა ასათიანის მეთაურობით, ოლქის მზრუნველის წინაშე დასვა საკითხი ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ. 1900 წლის 26 სექტემბერს ბათუმში გაიხსნა ქალთა გიმნაზია 150 მოსწავლისათვის. სკოლის დღევანდელმა შენობამ საბოლოო სახე 1904 წელს მიიღო. მშენებლობის დასრულების თარიღი შენობის ფასადზეა ამოტვიფრული.

არსებობის მანძილზე სკოლამ საკმაოდ რთული ეტაპები განვლო, მაგრამ ყოველთვის გამოირჩეოდა აკადემიურობით, ღირსებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით. ათწლეულების მანძილზე ქმნიდა საუკეთესო ტრადიციებს, რომლებსაც ინარჩუნებდნენ და სახელოვნად აგრძელებდნენ ახალი თაობები.

წელს სკოლამ დაარსებიდან 110 წლის იუბილე იზეიმა. მდიდარმა საარქივო მასალამ (ცირა ბექაიას, ცირა კვაჭანტირაძისა და მედეა კეშელავას პირად არქივებში დაცულმა) საშუალება მოგვცა თვალი გადაგვევლო და გაგვეცოცხლებინა სკოლის საუკუნოვანი ისტორია. იუბილე 26 სექტემბერს აღინიშნა. სკოლას უამრავი სტუმარი ჰყავდა. განსაკუთრებულად გულისამაჩუყებელი იყო ასაკოვანი კურსდამთავრებულების ვიზიტი. მრავალი წლის შემდეგ მათ კვლავ შეაღეს საკუთარი სკოლის საკლასო ოთახების კარები, დაესწრნენ გაკვეთილებს, გაიხსენეს სასკოლო ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. სტუმრებსა და მოსწავლეებს შორის თბილი დიალოგი შედგა.

იუბილეს ფარგლებში გამწვანდა და გალამაზდა სკოლის ეზო. ამ დღეს ყოფილმა კურსდამთავრებულებმა, წარჩინებულ მოსწავლეებთან და მანდატურებთან ერთად, ხეები დარგეს.

13-დან 17 დეკემბრის ჩათვლით კი სკოლის 110 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული გაიმართა: მოსწავლეებმა საინტერესო შეხვედრა მოუწყვეს აჭარის ახალგაზრდა თაობის პოეტებს; ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე „ჩემი სკოლა 110 წლისაა“. ბავშვებმა შეისწავლეს სკოლის არქივი, მოიძიეს საინტერესო მასალები და დაამუშავეს თემები, რომელიც სკოლის სახელოვან კურსდამთავრებულებსა და სხვა მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს; მოეწყო სკოლაში მოქმედი პროექტებისა და პროგრამების პრეზენტაცია.

საიუბილეო ღონისძიებებში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები დიდი ხალისით ჩაებნენ. მე-3 კლასის მოსწავლეებმა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170 წლისთავს მიუძღვნეს ლიტერატურული საღამო – „ჩემი ხატია სამშობლო“. იმავე დღეს გაიმართა ფინალური თამაში კალათბურთში. ეს სპორტული ღონისძიება მოტანვარჯიშე და მოცეკვავე გოგონების მშვენიერი ნომრებით გალამაზდა.

კვირეულის განმავლობაში სკოლა მასპინძლობდა ქალაქისა და რაიონების მასწავლებლებს, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ენახათ თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით დაგეგმილი გაკვეთილები. სკოლის 20-ზე მეტმა მასწავლებელმა ყველა საგანში ნოვაციებით გაჯერებული საინტერესო გაკვეთილები ჩაატარა.

კვირეულს ალამაზებდა ხელოვნების კათედრის მიერ ორგანიზებული მოსწავლეთა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა.

ყველა კათედრა და მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურადაა ჩართული საიუბილეო ღონისძიებების მიმდინარეობაში. განსაკუთრებული სიამაყითა და პასუხისმგებლობით ემზადებიან დასკვნითი ღონისძიებისათვის, რომელიც 27 დეკემბერს გაიმართება ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატულ თეატრში.

* * *

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, 2010/2011 სასწავლო წლისათვის, რეაბილიტირებულია: ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლა (299 827 ლარი); შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა (234 800 ლარი); ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლა (347 600 ლარი); ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა წინსვლის საჯარო სკოლა (234 522 ლარი); ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის №1 საჯარო სკოლა (მიმდინარეობს დამატებითი კომპლექსის მშენებლობა, 961 891 ლარი); ბათუმის №6 საჯარო სკოლა. სულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 2 109 912 ლარი.

* * *

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, 5-დან 17 წლის ჩათვლით, ბავშვთა ნებაყოფლობითი რეგისტრაცია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, ინკლუზიური განათლების დანერგვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადა.

მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდები, რომლებშიც შედიან ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები და სპეციალური პედაგოგები. გუნდებმა შეაფასეს დარეგისტრირებული ბავშვები და მათი რეკომენდაციის საფუძველზე ინდივიდუალურად ყველა ბავშვისთვის სპეციალური პროგრამა შეიქმნა.

* * *

„თბილისის სტუდენტური ოლიმპიადა ეკონომიკაში – 2010“ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის III-IV კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ჩატარდა, მასში 1000-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ, I და II ადგილზე გასულ სტუდენტებს – ნოუთბუქები.

გამარჯვებული სტუდენტები, კურსის დასრულების შემდგომ, დასაქმდებიან ან სტაჟირებას გაივლიან სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში.

ოლიმპიადის სპონსორი თბილისის მერია იყო. ოლიმპიადა ჩაატარა ორგანიზაციამ „საქართველოს ეკონომისტთა ფორუმი“. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, თი-ბი-სი ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი საზაფხულო სკოლის იმ 36 მოსწავლეს შეხვდა, რომლებიც მიმდინარე წლის 24 ივლისისთვის გაერთიანებულ სამეფოში ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში 2 კვირით გაემგზავრებიან.

მოსწავლეები საგნობრივი ოლიმპიადებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო კონკურსების მონაწილე 400-მდე მონაწილისაგან შეირჩნენ და უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაა. მათ სამი კვირის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობებში განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი და თავიანთი პედაგოგების, ლიდერებისა და თანატოლების დადებითი შეფასებები დაიმსახურეს.

პროგრამა „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები გაერთიანებულ სამეფოში“, 2010 წლის 22 ივნისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით, სამ ნაკადად ხორციელდება და მასში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII-XI კლასების 1200 მოსწავლეა ჩართული. სამივე ნაკადიდან (თითოეულში 400 მოსწავლეა) 36-36 საუკეთესო მონაწილე ირჩევა და ეტაპობრივად იგზავნება ინგლისში ორი კვირით.

„ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების“ პროგრამის ფარგლებში, პირველი ნაკადის მოსწავლეები, 22 ივნისიდან 12 ივლისამდე, იმყოფებოდნენ წყნეთის, ბაკურიანისა და წყალტუბოს ბაზებზე და მათზე ზრუნავდა ბანაკის დირექტორი გაერთიანებული სამეფოდან, ერთი უფროსი მასწავლებელი, ინგლისური ენის 9 პედაგოგი და 9 ჯგუფის ლიდერი.

მეორე ნაკადის 400 მოსწავლე, მიმდინარე წლის 14 ივლისს, გაემგზავრა წყნეთის, ბაკურიანისა და წყალტუბოს საზაფხულო სკოლებში. ბოლო მესამე ნაკადი აგვისტოს დასაწყისში გაემგზავრება.

ევროპული ფესტივალი თბილისში

არა მხოლოდ ბავშვთა და მოზარდთა სპორტში, ზოგადად, ქვეყნის ცხოვრებაში ნამდვილ მოვლენად იქცა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისში ჩატარდება. საქართველოსთვის, რომელიც ახლა ცდილობს საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციას, ეს ამბავი პოლიტიკურ მოვლენად იქცა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მსგავსი რეგიონული სპორტული ღონისძიების მასპინძლობა ნებისმიერი ქვეყნისთვის სწორედაც რომ პოლიტიკური საკითხია და ამაში მთელი მთავრობაა ჩაბმული. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა – ფესტივალის ღირსეულად ჩატარებაზე გარანტიები ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ გასცა.

ჩვენი ქვეყნისთვის ეს ისტორიული გადაწყვეტილება 27 ნოემბერს ბელგრადში, ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს. თბილისს მხოლოდ ერთი კონკურენტი ჰყავდა – ჩეხური ბრნო, რომელიც მესამედ გახლდათ აპლიკანტი. ფარული კენჭისყრის შემდეგ თბილისის კანდიდატურამ 26 ხმა მიიღო და 5-ით გაუსწრო ბრნოს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი თამაშების მასპინძლობა, შემდეგი გარემოებაც გამოდგება – ეს ფესტივალი ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად ჩვენთან ჩატარდება, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კი მხოლოდ ერთხელ გაიმართა – 2007 წელს ბელგრადში. ჩვენამდე მას ერთი მეზობელიც ჩაატარებს – მომავალ წელს ტრაბზონში მოეწყობა.

მსოფლიო ჩემპიონი 49-ე სკოლიდან

წლეულს ბავშვთა სპორტში მომხდარი მოვლენებიდან უდავოდ გამოსარჩევია თბილისის 49-ე საჯარო სკოლის VII-კლასელ ანა ოდიშვილის წარმატება, რომელიც ბატუტისტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. წლეულს ჭიდაობებსა თუ ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონებიც გვყავს და ევროპისაც, მაგრამ მათ ახალგაზრდებში მოიპოვეს ჯილდოები, ოდიშვილის წარმატება კი იმითაა გამორჩეული, რომ მათზე ბევრად პატარა – 11-12-წლიანთა შორის გამოდიოდა.

ანა ოდიშვილი მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანია, წლეულს კი ფრანგულ მეცში გამართულ მსოფლიო პირველობაზე შეუდარებელი იყო. ინდივიდუალურ ტურნირში 11-12-წლიანთა შორის გამოდიოდა და შესარჩევი ეტაპი მეორე ადგილზე ჩაამთავრა. სამაგიეროდ, ფინალში იმდენად კარგად იხტუნავა, მისი გამოსვლა მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს – ბრწყინვალე! მან განსაკუთრებით კარგი შეფასება დახვეწილი ტექნიკისთვის დაიმსახურა და 47 მეტოქე ჩამოიტოვა უკან. მისი გამოსვლა იმდენად კარგი იყო, მაყურებელმა კვარცხლბეკზე ოვაციით ააცილა, ხოლო სპეციალისტები ჩვენს სახელოვან ბატუტისტს, მსოფლიოს ჩემპიონ რუსუდან ხოფერიას ადარებდნენ, მეორე ხოფერია გეზრდებათო.

ანა ოდიშვილს მეცში მეორე მედლის მოპოვებაც შეეძლო – წყვილთა შორის, სადაც თანაკლასელ თეონა ჯანჯღავასთან ერთად გამოვიდა. ჩვენებურები შესარჩევის შემდეგ მესამე ადგილზე იყვნენ, მაგრამ ფინალში მიღწეული ვერ შეინარჩუნეს და მეხუთეზე დარჩნენ.

17-წლიანთა წარმატება

საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა წარმატება გუნდურ სახეობებში მოპოვებული ერთადერთი გამონაკლისია. ისინი ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის შესარჩევ ტურნირში გამოდიოდნენ და ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი. ეს ამოცანა იმანაც გააიოლა, რომ შეჯიბრებას თბილისმა უმასპინძლა, თუმცა საქებარს ნურც კობა ჟორჟიკაშვილსა და მის მიერ გაწვრთნილ ბიჭებს დავუკარგავთ – გუნდმა მართლაც კარგი, დამაიმედებელი ფეხბურთი აჩვენა და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ელიტ-რაუნდის საგზური. ჩვენებმა პირველ მატჩში პოლონელებს 1:0 სძლიეს, მერე კი ფრე –1:1 ითამაშეს ქვეჯგუფის ფავორიტ ინგლისის ნაკრებთან. ბოლო შეხვედრაში ჩვენებს ჯგუფის მაჩანჩალა შვედეთთან ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ ის შეხვედრაც დიდი აღმავლობით ჩაატარეს, განუწყვეტლივ უტევდნენ და კვლავაც 1:0 იმარჯვეს.

ელიტ-რაუნდში ჩვენები VI ჯგუფში მოხვდნენ ბელორუსის, ნორვეგიის და საფრანგეთის გუნდებთან ერთად. შესარჩევ შეხვედრებს გაისად გაზაფხულზე საფრანგეთი უმასპინძლებს, 3-15 მაისს სერბეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კი მხოლოდ ერთი გუნდი გავა. ჩვენი ჯგუფის კალენდარი ასეთია – 25 მარტს ფრანგებს ეთამაშებიან, 27-ში - ბელარუსებს, ორ დღეში კი ჯგუფის ბოლო შეხვედრას სკანდინავიელებთან გამართავენ.

ტალანტების დუბლი

ბოლო წლებში ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა გამორჩეულად წარმატებულ სახეობებად გვექცნენ, თუმცა ბოლო ორ წელიწადში უფროსებმა შედეგებს ბევრად მოუკლეს. საბედნიეროდ, ეს არ ეხებათ ახალგაზრდებს, რომლებიც ძველებურად წარმატებით გამოდიან. წლეულს ორმა მათგანმა განსაკუთრებით იყოჩაღა – ძიუდოისტმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81) და თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ხუციშვილმა (74) დუბლი შეასრულეს, ანუ თანატოლებში ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ და მსოფლიოსიც. ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონები ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევენ, რადგან აქედან ეროვნული ნაკრების ლიდერობამდე ერთი ნაბიჯია და მათ მომავალ ჩემპიონებად განიხილავენ, მაგრამ დუბლის მომპოვებელს ორმაგ აპლოდისმენტებს უძღვნიან – ანალოგიურ წარმატებას მხოლოდ ერთეულები, მართლაც გამორჩეულად ნიჭიერები თუ ახერხებენ. ჩვენი დუეტის შემთხვევაშიც ასეა – ორივე მართლაც გამორჩეულია და არავის ეეჭვება, რომ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურსაც მოიპოვებენ, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქომაგზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მაინც ჭრიკიშვილმა მოახდინა. ის მართლაც რომ თვითნაბადი ტალანტია – სადღეისოდ რაც აკლია, ეს ფიზიკური მომზადებაა, თორემ ტექნიკურად თუ ტაქტიკურად არათუ ჩამოუვარდება უფროსებს, ბევრს აღემატება კიდეც. რაც მთავარია, ტატამზე იმდენად კარგად აზროვნებს, ბევრად გამოცდილ ფალავნებს შეშურდებათ. ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა გიორგი გუგავამ ასე დაახასიათა: *„მისი ჭიდაობისას შემიძლია, მშვიდად ვიყო, დავჯდე და მხოლოდ ვუყურო, რადგან მითითება არ სჭირდება, ყველაფერს ზედმიწევნით სწორად აკეთებს. მას შეუძლია ორივე მხრიდან ჭიდაობა, ყველანაირი ილეთის წინააღმდეგ გააჩნია კონტრილეთი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალის შემდეგ, სადაც ერთ იაპონელს მოუგო, ფინალში კი მეორე იაპონელი ელოდა, იქაურთა მთელი სამწვრთნელო შტაბი შეიკრიბა და ბჭობდნენ, რა ტაქტიკა დაეპირისპირებინათ მისთვის, მაგრამ ამაოდ! ასეთ მოჭიდავეს რომ მოუგო, მეორე ავთანდილ ჭრიკიშვილი უნდა იყო“.*

სპეციალისტებს არც ეეჭვებათ, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ორივე ჩვენებური მედლის კანდიდატი იქნება.

რუბრიკას უძღვება ***ირაკლი თავაძე***

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.